

შპს „ასკანგელ ალიანსი“

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2018 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	17

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ასკანგელ ალიანსი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ასკანგელ ალიანსი“-ს ს/კ #405143786 (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შემდეგ ნაწილში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლობა ვართ, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება ხელმძღვანელობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, ხელმძღვანელობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს მატერიალურად არასწორი ან არსებობს თუ არა მატერიალური შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის.

ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება ხელმძღვანელობის ანგარიშგებაზე გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშგება აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ხელმძღვანელობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშგებაში დართული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება იმავე წლის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას; და
- ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, რეპორტისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსაზრებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოაჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და

პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ანა ოსიყმიშვილი (Reg. # SARAS-A-329489).

2 დეკემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



შპს „ასკანგელ ალიანსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ათასებში

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 01 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		149	154	144
ძირითადი საშუალებები	4	13,804	13,228	11,758
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,953	13,382	11,902
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,213	1,550	1,137
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	727	473	47
გაცემული სესხი	7	472	100	3
საგადასახადო აქტივები		176	802	874
ფულადი სახსრები		71	18	29
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,659	2,943	2,090
სულ აქტივები		16,612	16,325	13,992
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		(6,595)	(5,713)	(1,413)
სულ კაპიტალი		(6,595)	(5,713)	(1,413)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულება	8	21,530	20,862	14,808
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		21,530	20,862	14,808
მიმდინარე ვალდებულებები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	955	531	132
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	722	645	465
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,677	1,176	597
სულ ვალდებულებები		23,207	22,038	15,405
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,612	16,325	13,992

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

2 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ასკანგელ ალიანსი“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათასებში

	შენიშვნები	2018	2017
ამონაგები	10	4,356	1,674
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(4,162)	(1,959)
საერთო მოგება		194	(285)
ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,270)	(1,210)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	1,514	614
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(927)	(848)
საოპერაციო მოგება		(489)	(1,729)
ფინანსური შემოსავალი		55	9
ფინანსური ხარჯი	15	(458)	(385)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		149	(2,212)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1	17
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(116)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(858)	(4,300)
მოგების გადასახადის ხარჯი		(24)	-
წლის წმინდა (ზარალი)/ მოგება		(882)	(4,300)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

2 დეკემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ასკანგელ ალიანსი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათასებში

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01-იან-17	(1,413)	(1,413)
პერიოდის ზარალი	(4,300)	(4,300)
31-დეკ-17	(5,713)	(5,713)
პერიოდის ზარალი	(882)	(882)
31-დეკ-18	(6,595)	(6,595)

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

2 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ასკანგელ ალიანსი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათასებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	(858)	(4,300)
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	636	503
საექვო ვალების ხარჯი	-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(149)	2,212
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(221)	(409)
კლება/(ზრდა) გაცემულ სესხებში	(374)	(97)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	337	(413)
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	626	72
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	51	136
გადახდილი მოგების გადასახადი	(24)	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	24	(2,296)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,203)	(1,969)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4)	(14)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,207)	(1,983)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	3,194	6,653
სესხის გადახდა	(1,890)	(2,322)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	1,304	4,331
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	121	52
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(68)	(63)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	18	29
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	71	18

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

2 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ასკანგელი ალიანსი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა საქართველოში 2016 წლის 04 აპრილს. იურიდიული მისამართი არის - თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ., № 90-92, სართული 7, ბ. 21.

კომპანიის მფლობელები არიან:

- სერტორა ლიმიტიდ - 60%;
- გოჩა ჩხაიძე - 20%;
- ალექსანდრე ჩხეიძე - 10%; და
- თენგიზ შარაშიძე - 10%.

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, თავმჯდომარე გიორგი ცნობილაძე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - იორგ მათიესი.

კომპანია დაფუძნდა როგორც ბენტონიტური თიხის მწარმოებელი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2018	31 დეკ 2017	01 იან 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.0701	3.1044	2.7940

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) პირველი მიღება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები, წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ანგარიშგებებს.

შესაბამისად, კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მსს ფასს სტანდარტების მიხედვით, შედარების მიზნებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მონაცემების ჩათვლით, როგორც ამას მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკა.

ყველა წინა პერიოდისთვის, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ჩათვლით, კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა ადგილობრივი საბუღალტრო პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არის პირველი, რომელიც ჯგუფმა მოამზადა მსს ფასს-ის შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება

მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა	2-10 %
სატრანსპორტო საშუალებები	10 %
მანქანა დანადგარები	3.33-10 %
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	3.33-33.3 %

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი (მიდლ) მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება ძირითადად სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს სტანდარტი მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „ასკანგელ ალიანსი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათასებში

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	დაიმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება						
01-იან-17	193	6,799	295	1,453	3,107	11,847
შესყიდვა	3	489	719	86	1,209	2,506
ჩამოწერა	-	-	(537)	-	-	(537)
გადასვლა	4,303	-	-	-	(4,303)	-
31-დეკ-17	4,499	7,288	477	1,539	13	13,816
შესყიდვა	278	522	1,242	27	629	2,698
ჩამოწერა	-	(100)	(1,368)	(27)	-	(1,495)
გადასვლა	642	-	-	-	(642)	-
31-დეკ-18	5,419	7,710	351	1,539	-	15,019
დაგროვილი ცვეთა						
01-იან-17	-	-	3	86	-	89
ცვეთა	52	257	40	150	-	499
31-დეკ-17	52	257	43	236	-	588
ცვეთა	102	320	57	148	-	627
31-დეკ-18	154	577	100	384	-	1,215
ნარჩენი ღირებულება						
01-იან-17	193	6,799	292	1,367	3,107	11,758
31-დეკ-17	4,447	7,031	434	1,303	13	13,228
31-დეკ-18	5,265	7,133	251	1,155	-	13,804

კომპანიის მიერ აღებული სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით (იხ გ.შ. 8 სესხები).

5. მარაგები

მარაგები	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
ბეტონთიხა	1,095	628	404
მასალები	93	891	702
მზა პროდუქცია	12	-	-
სხვა მარაგები	13	31	31
სულ მარაგები	1,213	1,550	1,137

თვითღირებულებაში ხარჯად აღიარებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არის 2,339 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბრისთვის 1,226 ათასი ლარი).

შპს „ასკანგელ ალიანსი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათასებში

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
სავაჭრო მოთხოვნები	364	197	-
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(13)	-	-
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	363	197	-
გადახდილი ავანსები	376	276	47
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	727	473	47

სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან ნაწილდება შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
გადახდილი ავანსები	245	245	18
შპს ასკანგელ ჯგუფი	245	245	18
სავაჭრო მოთხოვნები	9	9	-
შპს კაპიტალკლუბი	9	9	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	727	473	47

7. გაცემული სესხი

გაცემული სესხი	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
სესხის ძირი თანხა	404	88	-
სესხის პროცენტი	68	12	3
სულ გაცემული სესხი	472	100	3

გაცემული სესხები სრულად არის მისაღები დაკავშირებული მხარეებისგან:

გაცემული სესხი	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
თენგიზ შარაშენიძე (50 ათასი დოლარი)	136	-	-
სესხის ძირი თანხა	134	-	-
სესხის პროცენტი	2	-	-
ასკანგელ ჯგუფი (ლარში)	336	100	3
სესხის ძირი თანხა	270	88	-
სესხის პროცენტი	66	12	3
სულ გაცემული სესხი	472	100	3

დოლარში სესხი გაცემულია 2018 წლის 1 ნოემბერს წლიური 8%-იანი განაკვეთით, ხოლო ლარის სესხი გაცემულია 2017-2018 პერიოდებში რამდენიმე ტრანშად წლიური 17%-იანი განაკვეთით.

შპს „ასკანგელ ალიანსი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათასებში

8. სესხები

მოკლევადიანი სესხი	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
დარიცხული პროცენტი ევროში	955	531	132
სულ მოკლევადიანი სესხი	955	531	132

გრძელვადიანი სესხი	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
სესხის ძირი თანხა ევროში	21,530	20,862	14,808
სულ გრძელვადიანი სესხი	21,530	20,862	14,808

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელობაში არსებული ავტომანქანებით და მძიმე ტექნიკით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
სავაჭრო ვალდებულებები	600	592	465
სახელფასო დავალიანება	76	4	-
მიღებული ავანსები	46	49	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	722	645	465

სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან ნაწილდება შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
<i>სავაჭრო ვალდებულებები</i>	<i>62</i>	<i>89</i>	<i>24</i>
შპს ასკანგელ ჯგუფი	61	88	23
მთისპირი	1	1	1
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	722	645	465

10. ამონაგები

ამონაგები	2018	2017
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	4,345	1,662
სხვა შემოსავალი	11	12
სულ ამონაგები	4,356	1,674

სხვა შემოსავლის 2017 წლის ღირებულება მოიცავს დაკავშირებულ მხარესთან რეალიზაციას 7 ათასი ლარის ღირებულებით.

შპს „ასკანგელ ალიანსი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათასებში

11. თვითღირებულება

თვითღირებულება	2018	2017
მასალების ღირებულება	2,319	1,220
ტრანსპორტირების ღირებულება	1,774	726
სხვა მასალების ღირებულება	69	13
სულ თვითღირებულება	4,162	1,959

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2017
ხელფასის ხარჯი	804	786
საგადასახადო ხარჯი	146	136
ცვეთის ხარჯი	99	57
ექსპლუატაციის ხარჯი	41	47
საწვავის ხარჯი	28	20
წარმომადგენლობითი ხარჯი	12	23
კომუნალური ხარჯი	8	12
იჯარის ხარჯი	4	5
სხვა ხარჯი	128	124
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,270	1,210

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ხელფასის ხარჯი..

13. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი	2018	2017
მოპოვებული ბენტონიტური თიხა	1,513	614
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,513	614

14. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯები	2018	2017
ცვეთის ღირებულება	299	254
ხელფასის ღირებულება	219	286
საწვავის ღირებულება	184	180
დიჯარის ღირებულება	123	50
საექვო ვალების ხარჯი	13	-
დამატებითი მასალების ღირებულება	89	78
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	927	848

15. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	2018	2017
სულ ფინანსური ხარჯი	458	385
სულ ფინანსური ხარჯი	458	385

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის ანაზღაურება	2018	2017
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	67	67
დამატებითი სარგებელი		65
დამატებითი სარგებელი	67	132

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის განმარტებით შენიშვნებშია ჩაშლილი არსებობის შემთხვევაში.

17. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, მიმდინარე წლის მოგება და გაუნაწილებელი მოგებაც.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 2 დეკემბერს.

2019 წელს კომპანიამ აიღო 283 382 ლარის სესხი შპს რესტორატორ გრუპისგან რომელიც დაფარა ამავე წელს.

2019 წელს კომპანიამ აიღო 475 000 ევროს არაუზრუნველყოფილი სესხი დამფუძნებლისგან „სერტორა ლიმიტედ“-ისგან განუსაზღვრელი ვადით. საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 5%.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ასკანგელ ალიანსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათასებში

შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 01 იანვარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		149	154
ძირითადი საშუალებები	4	13,804	13,228
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,953	13,382
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,213	1,550
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	727	473
გაცემული სესხი	7	472	100
საგადასახადო აქტივები		176	802
ფულადი სახსრები		71	18
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,659	2,943
სულ აქტივები		16,612	16,325
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(6,595)	(5,713)
სულ კაპიტალი		(6,595)	(5,713)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულება	8	21,530	20,862
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		21,530	20,862
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	955	531
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	722	645
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,677	1,176
სულ ვალდებულებები		23,207	22,038
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,612	16,325

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი



2 დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ასკანგელ ალიანსი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათასებში

	შენიშვნები	2018	2017
ამონაგები	10	4,356	1,674
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(4,162)	(1,959)
საერთო მოგება		194	(285)
ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,270)	(1,210)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	1,514	614
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(927)	(848)
საოპერაციო მოგება		(489)	(1,729)
ფინანსური შემოსავალი		55	9
ფინანსური ხარჯი	15	(458)	(385)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		149	(2,212)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1	17
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(116)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(858)	(4,300)
მოგების გადასახადის ხარჯი		(24)	-
წლის წმინდა (ზარალი)/ მოგება		(882)	(4,300)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



2 დეკემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.


შპს „ასკანგელ ალიანსი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათასებში

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01-იან-17	(1,413)	(1,413)
პერიოდის ზარალი	(4,300)	(4,300)
31-დეკ-17	(5,713)	(5,713)
პერიოდის ზარალი	(882)	(882)
31-დეკ-18	(6,595)	(6,595)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



2 დეკემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ასკანგელ ალიანსი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათასებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2018	2017
მოგება დაბეგრამდე	(858)	(4,300)
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	636	503
საექვო ვალების ხარჯი	-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(149)	2,212
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(221)	(409)
კლება/(ზრდა) გაცემულ სესხებში	(374)	(97)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	337	(413)
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	626	72
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	51	136
გადახდილი მოგების გადასახადი	(24)	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	24	(2,296)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,203)	(1,969)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4)	(14)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,207)	(1,983)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	3,194	6,653
სესხის გადახდა	(1,890)	(2,322)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	1,304	4,331
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	121	52
საკუროს სხვაობა ფულად სახსრებზე	(68)	(63)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	18	29
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	71	18

ხელმოწერი პირები:

დირექტორი




2 დეკემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით უნიკალურ და ექსპორტზე ორიენტირებულ ქართულ პროდუქტს.

ვინაიდან კომპანიას გააჩნია საწყობი სოფელ მთისპირში, დაგეგმილია, რომ მოხდეს ახალი დანადგარების შეძენა და საყობმა შეითავსოს ახალი ფუნქცია, როგორიცაა მოპოვებული თიხის პირველადი გადამუშავება და ამით კომპანიამ გაზარდოს წარმადობა ძირითად საწარმოში. საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ამ პროცესების დახვეწით დაგეგმილია გაზის მოხმარების და ტრანსპორტირების ხარჯის შემცირება. წარმადობის გაზრდის შემდომ კომპანიას დაგეგმილი აქვს შევიდეს კიდევ უფრო მეტ საექსპორტო ბაზარზე.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება დევაზუმში არსებული ქარხანა და მთისპირში შესაბამისი საწყობი.

4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2017-2018 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში „ფინანსური მაჩვენებლები“.

ჯამურ რეალიზაციაში საექსპორტო ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის ღირებულების წილი შეადგენს დაახლოებით 93%-ს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2017-2018 წლებში შესაბამისად შეადგენდა 110 და 113 დასაქმებულს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 10 ქალია.

5. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები

შპს ასკანგელ ალიანსის სამარგო ნიშანია ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, პროდუქციის მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

02.12.2019

დირექტორი



მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია: შპს ასკანგელ ალიანსი საქართველოში ბენტონიტური თიხის მომპოვებელი და გადამამუშავებელი ერთადერთი კომპანიაა.

შპს ასკანგელ ალიანსი დაარსდა 2016 წლის 4 აპრილს. კომპანია უმეტესწილად ოპერირებს საექსპორტო ბაზარზე. მისი ძირითადი საქმიანობაა ბენტონიტური თიხის მოპოვება და მისგან ისეთი პროდუქციის წარმოება როგორიცაა: ბენტონიტი ღვინის წარმოებისთვის, საყალიბე თიხა, ბენტონიტი კომბინირებული საკვებისთვის, ბენტონიტი საბურღი ხსნარებისთვის და ღვინის ბენტონიტი.

შპს ასკანგელ ალიანსის საწარმოს მშენებლობა და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა მოხდა 2016 – 2017 წლებში. მანქანა-დანადგარების იმპორტირება განხორციელდა ძირითადად გერმანიიდან და მცირე რაოდენობით თურქეთიდან. მოცემულ ეტაპზე კომპანია ახორციელებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოებას. შპს ასკანგელ ალიანსი წარმოადგენს ისეთი ცნობილი კომპანიის როგორიცაა აზფენის წარმომადგენლობა საქართველოში მომმარაგებელს საბურღი ხსნარებით. შპს ასკანგელ ალიანსის ძირითადი ექსპორტიორია მინსკის ტრაქტორების ქარხანა, რომელიც კომპანიისგან რეგულარულად ყიდულობს საყალიბე თიხას. ასევე, უკრაინაში კრემენჩუკის მეტალურგიული ქარხანა, ასევე საყალიბე თიხის მყიდველი.

მიუხედავად ახლადგახსნილი წარმოებისა შპს ასკანგელ ალიანსის მიერ მოპოვებული თიხა საკმაოდ ცნობილია მთელს მსოფლიოში როგორც ასკანის ბენტონიტური თიხები.

კომპანია ძირითადი ნედლეულისა და მასალების მოპოვებას ახდენს სოფელი მთისპირიდან. ხოლო დამხმარე ნედლეულის და მასალების, როგორიცაა სოდა, მაგნიუმი და ტომრები შესყიდვა ხორციელდება თურქეთიდან. მაღალტექნოლოგიური დამხმარე მასალების და ძირითადი საშუალებების შეძენა ხორციელდება გერმანიიდან.

შპს ასკანგელ ალიანსს აქვს ერთი ქარხანა ს. დვაბზუში და შუალედური საწყობი სადაც ხორციელდება ახლადმოპოვებული თიხის დასაწყობება/დაფასოვება ს. მთისპირში. ადმინისტრაციული შენობა განთავსებულია ქარხნის ტერიტორიაზე.

კომპანიას გააჩნია 2018 წლის 13 დეკემბრით დათარიღებული კომპანია „რუსული რეგისტრ“-ის მიერ გაცემული ხარისხის მართვის სისტემის (შესაბამისობაზე კერძოდ: ბენტონიტის მიღების, დამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის სფეროში) სერთიფიკატი ISO 9001:2015.

ფინანსური მაჩვენებლები:

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში	2017	2018
შემოსავლები	1 674	4 356
თვითღირებულება	1 959	4 162
საერთო მოგების მარჟა	-17.03 %	4.45 %
წმინდა მოგება	-4 300	-882
აქტივები	16 325	16 612
ვალდებულებები	22 038	23 207

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით უნიკალურ და ექსპორტზე ორიენტირებულ ქართულ პროდუქტს.

ვინაიდან კომპანიას გააჩნია საწყობი სოფელ მთისპირში, დაგეგმილია, რომ მოხდეს ახალი დანადგარების შეძენა და საცობმა შეითავსოს ახალი ფუნქცია, როგორიცაა მოპოვებული თიხის პირველადი გადამუშავება და ამით კომპანიამ გაზარდოს წარმადობა ძირითად საწარმოში. საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ამ პროცესების დახვეწით დაგეგმილია გაზის მოხმარების და ტრანსპორტირების ხარჯის შემცირება. წარმადობის გაზრდის შემდომ კომპანიას დაგეგმილი აქვს შევიდეს კიდევ უფრო მეტ საექსპორტო ბაზარზე.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება დვაბზუმში არსებული ქარხანა და მთისპირში შესაბამისი საწყობი.

4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2017-2018 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში „*ფინანსური მაჩვენებლები*“.

ჯამურ რეალიზაციაში საექსპორტო ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის ღირებულების წილი შეადგენს დაახლოებით 93 %-ს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2017-2018 წლებში შესაბამისად შეადგენდა 110 და 113 დასაქმებულს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 10 ქალია.

5. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები

შპს ასკანგელ ალიანსის სამარკო ნიშანია ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, პროდუქციის მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

